სკოლა: შპს ჩირაღდანი

ხელმძღვანელი: თინათინ ქობალია

კლასი: II

ხანგრძლივობა: 3-5 კვირა

პროექტი: მედია და ინფორმაციული წიგნიერება

პროექტის მიზანია:

. ბავშვებში ავამაღლოთ მედიის შესახებ ცნობიერება;

. სხვადასხვა სახის მედიის გაცნობა;

. განუვითაროთ კრიტიკული აზროვნება;

. გავაუმჯობესოთ ინფორმაციის მოძიებისა და გაანალიზების უნარი;

. ინფორმაციის სანდოობის შეფასების უნარის განვითარება;

მისაღწევი შედეგი:

მოსწავლეებს ექნებათ საფუძვლიანი წარმოდგენა მედიის შესახებ. დამოუკიდებლად მიეჩვევიან თუ როგორ ხდება ინფორმაციის მოძიება და მისი გაანალიზება.აგრეთვე ისწავლიან თუ რა როლი უკავია თითოეულის ცხოვრებაში მედიას და ისწავლიან მის კრიტიკულად შეფასებას. გაიზრდება მათი სიყვარული წიგნების, ჟურნალებისა და სხვა საინფორმაციო წყაროების მიმართ.

აქტივობები:

1. **რა არის მედია?**

. სხვადასხვა მედიის წყაროების გაცნობა, როგორიცაა წიგნი, ტელევიზია, რადიო, გაზეთი, ინტერნეტი, კომპიუტერი, ტელეფონი.

. თითოეული მედიის საშუალების განხილვა თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით.

. მოსწავლეების მიერ შთაბეჭდილებების დახატვა სხვადასხვა მედიის შესახებ.

2. **მედია ჩენს ცხოვრებაში**

. თუ როგორ გავლენას ახდენს ყოველდღიურობაში მედია მათში.რას სწავლობენ ამ გადაცემებიდან.

. რას უყურებენ, უსმენენ,კითხულობენ ან ათვალიერებენ ისინი ყოველდღიურად.

. მათი საყვარელი გადაცემის, მულტფინის ან ვიდეოს წარდგენა.

3. **კარგი და ცუდი ამბები**

. გაანალზონ ახალი ამბები, თუ რატომაა ეს ამბავი მნიშვნელოვანი და ვინაა მთავარი გმირი ამ ამბის.

. გაარჩიონ კარგი და ცუდი, ჭეშმარიტი და ყალბი ამბავი ერთმანეთისაგან.

. შექმნან მოსწავლეებმა საკუთარი ამბავი და მოახდინონ ამ ამბის პრეზენტაცია საკლასო ოთახში.

4. **ინფორმაციის მოძიება**

. ინტერნეტის გამოყენების დროს უსაფრთხოების დაცვის წესების განხილვა.

. საძიებო სისტემის გამოყენება.

. ვავალებ მოსწავლეებს მოიძიონ ინფორმაცია მათი საცხოვრებელი ქალაქის შესახებ და დახატონ ქალაქის ღირშესანიშნოებები მოძიებული ინფორმაციის გამოყენებით.

5. **მედია პროდუქტის შექმნა**

. საკუთარი გაზეთის შექმნა.

. მოსწავლეებს ვავალებ ოჯახის წევრებთან ინტერვიუს აღებას მედიის შესახებ.

. როლური თამაში ჟურნალისტისა და რესპოდენტის მონაწილეობით.

6. **„ჩემი საყვარელი წიგნი“**

.ბავშვებს ვთხოვ აირჩიონ მათი საყვარელი წიგნი და მოამზადონ პრეზენტაცია, თუ რატომ მოსწონთ ეს წიგნი და რა ისწავლეს წაკითხვისას.

. შემდგომში მოსწავლეებს ვთხოვ ვისაც უნდათ იმ მოსწავლეს მისცენ წიგნი და ურჩიონ წაკითხვა.

7. **ფილმის ჩვენება**

. მშობლებთან შეთახმებით ბავშვებთან ერთად გაკვეთილების შემდეგ მოვაწყობთ ფილმის ჩვენებას .

. მოვაწყობთ დისკუსიას ფილმის შესახებ.